

საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება N393

2013 წლის 01 მაისი ქ. თბილისი

ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით
გასატარებელი ღონისძიების შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის N1 ბრძანების 51-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,
ბრძანება N MOD 1 18 00000035 22.01.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და გავრცელდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე;

ვბრძანებ:

1. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის, ან სხვა სახის სამშვიდობო ოპერაციებში (შემდგომ - სამშვიდობო ოპერაცია) მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა პერსონალის სტატუსით წარგზავნილ პირებს (შემდგომ - მოსამსახურე) სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის დროს ბავშვის შექმნის ან ოჯახის წევრის (მეუღლე, შვილი, დედა, მამა) გარდაცვალების შემთხვევაში მიეცეს ერთჯერადი დახმარება 1250 (ათასორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ბრძანება NMOD 0 15 00000631 09.09.2015 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის გაცემის უზრუნველყოფა დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტს (რ. გიუნაშვილი) შესაბამისი ქვედანაყოფიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სამშვიდობო ოპერაციებში ყოფნის დამადასტურებელი ბრძანება, ბავშვის დაბადების მოწმობა/ოჯახის წევრის გარდაცვალების მოწმობა) საფუძველზე.

3. ეს ბრძანება აგრეთვე გავრცელდეს ამ ბრძანების გამოცემის თარიღისათვის სამშვიდობო ოპერაციებში მყოფი პირების მიმართ, რომლებსაც ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობა წარმოეშვათ ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე სამშვიდობო ოპერაციებში ყოფნის პერიოდში.

3¹-ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე საქართველოს საჯარო

სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეებზე გაიცეს შესაბამისი
საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის
დამტკიცებული ბიუჯეტიდან.

ბრძანება N 682 28.06.2013 ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ირაკლი ალასანია